საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის

ბრძანება №294
2013 წლის 18 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის №82 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის N82 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 100100010.22.038.016044, 17/05/2011)დამტკიცებულ წესში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ^1“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ^1) კომპეტენციის ფარგლებში ბრალდებულის/მსჯავრდებულის დახასიათების მომზადება (დანართი №18, №18^1);“.

2. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) კომპეტენციის ფარგლებში ავსებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის დახასიათებას (დანართი №18, №18^1);“.

3. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) კომპეტენციის ფარგლებში ავსებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის დახასიათებას (დანართი №18, №18^1);“.

4. მე-12 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. წელიწადში ერთხელ, სოციალური განყოფილება პირად საქმეს დაურთავს მსჯავრდებულის დახასიათებას (დანართი №18^1), რომელშიც აისახება მონაცემები მისი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის ასეთი დახასიათება პირად საქმეს დაერთვება 6 თვეში ერთხელ.“.

5. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 პუნქტი:

„12^1. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოში იგზავნება ამ წესის დანართი №18-ის შესაბამისად შევსებული მსჯავრდებულის დახასიათება.“.

6. წესს დაემატოს დანართი №18^1 თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **გრიგოლ გიორგაძე**

დანართი

დანართი №18[1]

„ვამტკიცებ“
სად № ----- დაწესებულების დირექტორი

„_____“ _____ 20____ წ.

დახასიათება

1. სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

2. დაბადების ----------

(თვე, რიცხვი, წელი)

3. დაბადების ადგილი ----------

(თვითმმართველი ქალაქი, მუნიციპალიტეტი)

4. საცხოვრებელი ადგილი ----------

(ქალაქი, მუნიციპალიტეტი) კორპ. ბინა №)

5. განათლება ----------

6. ოჯახური მდგომარეობა ----------

7. წარსულში ნასამართლობა (სსკ-ის მუხლი, გათავისუფლების თარიღი და საფუძველი)

---

8. მსჯავრდებულია ---------- 20 ---წ.

(რიცხვი, თვე)

---------- მიერ ----------

(სასამართლოს დასახელება) (სსკ–ის მუხლი)

მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ----------

(თ/აღკვეთის ვადა)

(თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დასახელება)

9. სასჯელის დასაწყისი, სასჯელის დასასრული

---

10. სსკ-ის 72-ე, 73-ე, 74-ე და 98-ე მუხლებით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდის თარიღი ----------
---

11. დისციპლინური სახდელი, წახალისება(როდის და რა მიზეზით)

---

12. გამოყენებული იქნა თუ არა ამნისტია, შეწყალება, პირობით ვადამდე გათავისუფლება, პირობითი მსჯავრი, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა და თუ გამოყენებული იქნა, მათი შედეგები

---

13. მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები:

თუ როგორია იგი დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისადმი მიმართებაში (აგრესიულია, კომფლიქტურია, თუ თავაზიანი) რა კატეგორიის მსჯავრდებულებთან ურთიერთობას ანიჭებს უპირატესობას, დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, ინანიებს თუ არა ჩადენილ დანაშაულს და ა.შ.

---

14. დანაშაულის ხასიათი, მოკლე ფაბულა

---

15. ხასიათდება: დადებითად უარყოფითად

--- ---

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების

სოციალური განყოფილების სოციალური მუშაკი ----------

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსი

ინსპექტორი ----------

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორი ----------

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

„პირად საქმესთან შედარებულია“

სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსი ----------
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)